rta.gov.ge



საინფორმაციო ბარათი
სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესისთვის

სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესის მიზანი

სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესი შემუშავებულია „საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის შესახებ“ 1980 წლის 9 მაისის კონვენციის (კოტიფი) C დანართის – სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის შესახებ რეგულაციის (RID) შესაბამისად.

წესის **მიზანია სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვისას ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფა** RID-ის დებულებების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის გზით.

წესის მოქმედების სფერო

სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესი **ვრცელდება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში** სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვაზე და სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.

წესი შესასრულებლად სავალდებულოა ყველა იმ მონაწილისთვის, ვინც ჩართულია სახიფათო ტვირთის გადაზიდვის პროცესში. აღნიშნული პროცესი ასევე მოიცავს სახიფათო ტვირთის გადაზიდვისთვის მომზადებას, შეფუთვას, დატვირთვას, გადმოტვირთვას ან დახარისხებას.



საგამონაკლისო შემთხვევები

წესი განსაზღვრავს გამონაკლისებს, როდესაც რკინიგზით სახიფათო ტვირთის გადაზიდვების მიმართ RID-ისა და ამ წესის დებულებები არ გამოიყენება. საგამონაკლისო შემთხვევებს განეკუთვნება:

- ფიზიკური პირის მიერ, პირადი მოხმარებისთვის, საცალო გაყიდვების მიზნით შეფუთული სახიფათო ტვირთების გადაზიდვა (გარკვეული პირობებით);
- საწარმოების მიერ განხორციელებული სარკინიგზო გადაზიდვა, როდესაც სახიფათო ტვირთები ტრანსპორტირდება სამშენებლო ან საინჟინრო-ტექნიკურ ობიექტებზე ან ბრუნდება აღნიშნული ობიექტებიდან, ან აზომვით, სარემონტო და ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სამუშაოებთან მიმართებაში (გარკვეული პირობებით);
- სახიფათო ტვირთის ისეთი გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება კომპეტენტური უწყებების მიერ ან მათი ზედამხედველობის ქვეშ ინციდენტის ან სარკინიგზო შემთხვევის დროს სახიფათო ტვირთის ლოკალიზაციის, შეგროვების და მათი უახლოეს უსაფრთხო ადგილას გადატანის მიზნით;
- სამაშველო ტრანსპორტირებისას განხორციელებული გადაზიდვა, რომელიც გამიზნულია ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად ან გარემოს დასაცავად;

- სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების საწვავის ავზებში ან ბალონებში მოთავსებული აირების ან თხევადი საწვავის სარკინიგზო გადაზიდვა, რომლებიც გამოიყენება მისი გადაადგილებისთვის ან მისი ნებისმიერი მოწყობილობის ფუნქციონირებისათვის;
- მცირე რაოდენობებად შეფუთული სახიფათო ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვა, როდესაც RID-ის ცალკეული სპეციალური პირობები სრულად ან ნაწილობრივ ათავისუფლებს შესაბამის სახიფათო ტვირთს RID-ის მოთხოვნებისგან;
- ერთი ვაგონით ან დიდი კონტეინერით სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, როდესაც დაცულია მაქსიმალური საერთო რაოდენობის (კილოგრამი ან ლიტრი) მოთხოვნები, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა ან ერთ სატრანსპორტო კატეგორიაში გაერთიანებული სახიფათო ტვირთების ერთობლივ გადაზიდვას;
- ელექტროენერგიის აკუმულირებისა და გამომუშავების სისტემების (მაგალითად: ლითიუმის ბატარეები ან ელექტროკონდენსატორები) გადაზიდვა, რომელიც დამონტაჟებულია სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებაში, მისი წევისთვის ან ნებისმიერი მოწყობილობის ფუნქციონირებისათვის;
- სახიფათო ტვირთის გადაზიდვა, რომელიც გადაზიდვისას გამოიყენება გაგრილების ან კონდიცირების მიზნით;

სახიფათო ტვირთის განმარტება

სახიფათო ტვირთი - ყველა ის ნივთიერება ან/და ნაკეთობა, რომელიც კლასიფიცირებულია საშიშროების ტიპის, ასევე მათი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების მიხედვით და რომელთა გადაზიდვა აკრძალულია ან დასაშვებია მხოლოდ RID-ით განსაზღვრული გარკვეული პირობებით. თითოეული სახიფათო ტვირთი აღინიშნება გაერთიანებული ერების მიერ მინიჭებული ნომრით, რომელიც წარმოადგენს ოთხციფრა კოდს და რომელსაც წინ უსწრებს აღნიშვნა "UN".

სახიფათო ტვირთების სრული ჩამონათვალი მოცემულია RID - ის 3.2 თავის „A" ცხრილში და „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ" შეთანხმების (SMGS) მე-2 დანართში.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვა

სახიფათო ტვირთის გადაზიდვა გულისხმობს სახიფათო ტვირთისათვის ადგილმდებარეობის შეცვლას, გაჩერებების ჩათვლით, რაც აუცილებელი გახდა სატრანსპორტო პირობების შესაბამისად და მოიცავს სახიფათო ტვირთის ვაგონებში, ცისტერნებსა და კონტეინერებში ყოფნის პერიოდს, რისი აუცილებლობაც განპირობებულია გადაზიდვის პირობებით ადგილმდებარეობის შეცვლამდე, შეცვლის დროსა და მის შემდეგ. ეს განმარტება ასევე მოიცავს სახიფათო ტვირთის შუალედურ, დროებით დასაწყობებას, სატრანსპორტო საშუალებების სახეობის ან საშუალებების შეცვლის მიზნით (გადატვირთვა).

rta.gov.ge

სახიფათო ტვირთის კლასიფიკაცია

სახიფათო ტვირთები, ნივთიერებების ან ნაკეთობების სახიფათო თვისებებიდან გამომდინარე დაყოფილია 9 (ცხრა) კლასად:

კლასი 1 - **ფეთქებადი ნივთიერებები და ნაკეთობები;**
კლასი 2 - **აირები;**
კლასი 3 - **ადვილაალებადი სითხეები;**
კლასი 4 - **ადვილაალებადი მყარი, თვითაალებადი და წყალთან შეხებისას აალებადი აირის გამომყოფი ნივთიერებები;**
კლასი 5 - **მჟანგავი ნივთიერებები და ორგანული პეროქსიდები;**
კლასი 6 - **ტოქსიკური და ინფექციური ნივთიერებები;**
კლასი 7 - **რადიოაქტიური მასალები;**
კლასი 8 - **კოროზიული ნივთიერებები;**
კლასი 9 - **სხვა სახიფათო ნივთიერებები და ნაკეთობები.**

სახიფათო ტვირთის შეფუთვის ჯგუფები

გარკვეული სახიფათო ტვირთები, როგორიცაა: ადვილაალებადი სითხეები, ადვილაალებადი მყარი და დესენსიბილიზებული ფეთქებადი ნივთიერებები, მჟანგავი, ტოქსიკური, კოროზიული და სხვა სახიფათო ნივთიერებები, თავიანთი საფრთხის ხარისხიდან გამომდინარე, ასევე ნაწილდებიან შეფუთვის ჯგუფში, შეფუთვის მიზნებიდან გამომდინარე. აღნიშნული ნივთიერებები ნაწილდებიან RID-ით განსაზღვრული შეფუთვის შემდეგ 3 (სამ) ჯგუფში:

I შეფუთვის ჯგუფი - შედის ისეთი სახიფათო ნივთიერებები, რომელიც მაღალი საფრთხის შემცველია;

II შეფუთვის ჯგუფი - შედის ისეთი სახიფათო ნივთიერებები, რომელიც საშუალო საფრთხის შემცველია;

III შეფუთვის ჯგუფი - შედის ისეთი სახიფათო ნივთიერებები, რომელიც დაბალი საფრთხის შემცველია;

შენიშვნა: სახიფათო ტვირთად განსაზღვრული ნაკეთობები შეფუთვის ჯგუფებში არ ნაწილდებიან.

სახიფათო ტვირთის შეფუთვის მარკირება და საშიშროების ნიშნების განთავსება

სახიფათო ტვირთის შეფუთვების მარკირება და საშიშროების ნიშნების (მათ შორის დიდი საშიშროების ნიშნები) განთავსება უნდა განხორციელდეს წესის და RID-ის მოთხოვნების შესაბამისად. მარკირება და საშიშროების ნიშნები შეიცავს ინფორმაციას სახიფათო ტვირთის თვისებების და საფრთხის შესახებ.

- მარკირებისას, შეფუთვაზე უნდა მიეთითოს სახიფათო ტვირთის შესაბამისი გაეროს ნომერი, რომელიც უნდა იყოს გარკვევით, მყარად მარკირებული თითოეულ შეფუთვაზე, იყოს შესამჩნევი და უძლებდეს ამინდის ნებისმიერ პირობებს;

- საშიშროების ნიშნები უნდა განთავსდეს შეფუთვაზე, არ უნდა დაიფაროს ტარის სხვა ნაწილის ან სხვა საშიშროების ნიშნის ან მარკირების ნიშნის მიერ.

- დიდი ზომის საშიშროების ნიშნები უნდა გამოისახოს კონტრასტული ფერის ფონზე, ან მას უნდა ჰქონდეს წერტილებიანი ან სადა გარე კონტური უნდა განთავსდეს დიდი კონტეინერების, ცისტერნების და ვაგონების გარე ზედაპირზე.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის მონაწილეები

სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესით, გადაზიდვის მონაწილეებს წარმოადგენენ:

მთავარი მონაწილეები - ტვირთგამგზავნი, გადამზიდველი და ტვირთმიმღები;

სხვა მონაწილეები - შემფუთავი, შემვსები, კონტეინერი-ცისტერნის/ გადასატანი ცისტერნის ოპერატორი, ვაგონი-ცისტერნის ოპერატორი, ინფრასტრუქტურის მენეჯერი, გადმომტვირთავი, ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, ექსპედიტორი და საწყობის ოპერატორი.

შენიშვნა: სხვა მონაწილეების ჩამონათვალი ახ ახის ამომწუხავი. მიუხედავად ამისა, მათი საქმიანობა ექვემდებახება წესისა და RID-ის მოთხოვნებს იმდენად, ხამდენადაც მათ იციან ან უნდა სცოდნოდათ აღნიშნულის თაობაზე.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის მთავარი მონაწილეების ცნება და ძირითადი ვალდებულებები

ტვირთგამგზავნი - ნიშნავს პირს, რომლის მიერ ან რომლის სახელით იდება ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება.

ტვირთგამგზავნი ვალდებულია გადამზიდველს გადასცეს RID-ის შესაბამისად კლასიფიცირებული და გადასაზიდად ნებადართული სახიფათო ტვირთი. ასევე, ხელმისაწვდომი ფორმით მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია და ტრანსპორტირების და სხვა თანმხლები დოკუმენტები. ტვირთგამგზავნმა უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო დაფების, მარკირების და საშიშროების ნიშნების განთავსება შეფუთვებზე;

ტვირთგამგზავნი ან ექსპედიტორი **ვალდებულებია** საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შეატყობინოს ფეთქებადი ნივთიერებების/ ნაკეთობების და რადიოაქტიური მასალის რკინიგზით გადაზიდვის თაობაზე. ინფორმაციის მიწოდება (შეტყობინება) უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, გადაზიდვის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.

თუ ტვირთგამგზავნი სარგებლობს სხვა მონაწილე პირების მომსახურებით (მაგ: შემვსები, დამტვირთავი, შემფუთავი და სხვ.) მან **უნდა უზრუნველყოს,** რომ სახიფათო ტვირთის გადაზიდვა შეესაბამება RID-სა და წესის მოთხოვნებს.

გადამზიდველი - ნიშნავს პირს, რომელიც გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სარკინიგზო სატრანსპორტო ოპერაციებს.

გადამზიდველი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ:

- სახიფათო ტვირთის გადაზიდვა დაშვებულია RID-ის შესაბამისად;
- ტვირთგამგზავნის მიერ წარმოდგენილია გადასაზიდ სახიფათო ტვირთებთან დაკავშირებით RID-ით გათვალისწინებული ყოველგვარი ინფორმაცია, ინსტრუქციები და სხვა საჭირო სატრანსპორტო დოკუმენტები;
- წერილობითი ინსტრუქციებით გათვალისწინებული აღჭურვილობა განთავსებულია მემანქანის კაბინაში;
- ვაგონები არ არის დატვირთული ტვირთამწეობაზე მეტად;
- სატრანსპორტო საშუალებებსა და გადასაზიდ ტვირთებს არ აღენიშნებათ რაიმე ხილული ხარვეზი, გაჟონვა, ბზარი;

გადამზიდველი ვალდებულია შეამოწმოს, რომ საინფორმაციო დაფები, მარკირებები და ნარინჯისფერი ტაბლოები განთავსებულია ვაგონებზე და შესაბამისობაშია წესის და RID-ის მოთხოვნებთან;

გადამზიდველი ასევე **ვალდებულია** დარწმუნდეს, რომ ტვირთგამგზავნის ან ექსპედიტორის მიერ წერილობითი შეტყობინება გაგზავნილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

ტვირთმიმღები - ნიშნავს ტვირთის მიმღებს გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად. თუ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, იგი გამოყოფს მესამე პირს, აღნიშნული პირი ასევე ჩაითვლება ტვირთმიმღებად.

ტვირთმიმღები **ვალდებულია,** კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე არ შეაჩეროს ტვირთის მიღება და სახიფათო ტვირთის გადმოტვირთვის შემდეგ, შემოწმების შედეგად დარწმუნდეს, რომ მის მიერ სრულად იქნა შესრულებული ტვირთთან დაკავშირებული RID-ის და წესის მოთხოვნები.

ტვირთმიმღები ვალდებულია შეასრულოს გადმოტვირთვასთან დაკავშირებული RID-ისა და წესის მოთხოვნები და შემდგომ უზრუნველყოს ვაგონის ან კონტეინერის მიღება და ხელმეორედ გამოყენება.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სხვა მონაწილეების ცნება და ძირითადი ვალდებულებები

რკინიგზის ინფრასტრუქტურის მენეჯერი - წარმოადგენს იურიდიული პირს, რომელიც პასუხისმგებელია სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის, მართვისა და მოვლა-შენახვისთვის მათ შორის, მოძრაობის მართვისთვის, აგრეთვე სიგნალიზაციის, მემანქანის მართვისა და კონტროლის სისტემებზე, სარკინიგზო ქსელზე ან მის ნაწილზე.

მის ვალდებულებას წარმოადგენს სწრაფი და შეუზღუდავი წვდომის უზრუნველყოფა ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც უკავშირდება სახიფათო ტვირთის გაეროს ნომრებს, რომლებიც გადაიზიდება თითოეულ ვაგონზე ან ვაგონით. ასევე, RID-ის მოთხოვნების შესაბამისად სატვირთო სადგურების **საგანგებო მდგომარეობის შიდა გეგმების** მომზადება, სადაც ხორციელდება ტვირთების დახარისხება.

ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი - პასუხისმგებელია სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალების მოვლა-შენახვაზე, შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე. მისი ძირითადი ვალდებულებაა, განახორციელოს ცისტერნების და მათი აღჭურვილობის მოვლა-შენახვა ისე, რომ მათი გამოყენების შემდეგ დაცული იყოს RID-ის მოთხოვნები;
მტვირთავი - ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს შეფუთული სახიფათო ტვირთის, პატარა კონტეინერების, ან გადასატანი ცისტერნების დატვირთვას ვაგონზე ან კონტეინერზე ან ახორციელებს დიდი კონტეინერების დატვირთვას ვაგონზე.

მტვირთავის ძირითადი ვალდებულებებია: სახიფათო ტვირთის შეფუთვების შემოწმება გადაზიდვამდე, დატვირთვასთან და ტვირთის დამუშავებასთან დაკავშირებული RID-ის სპეციალური მოთხოვნების შესრულება და გადამზიდველისთვის ისეთი სახიფათო ტვირთის გადაცემა, რომელი ნებადართულია RID-ის შესაბამისად;

შემფუთავი - ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც უზრუნველყოფს სახიფათო ტვირთების მოთავსებას ტარაში და ნაყარი ტვირთის საშუალო ტვირთამწეობის კონტეინერებში და საჭიროების შემთხვევაში, მოამზადებს შეფუთვებს გადასაზიდად.

შემვსები - ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც უზრუნველყოფს სახიფათო ტვირთების დატვირთვას ცისტერნაში და/ან ვაგონში ან კონტეინერებში.

მის **ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს,** ცისტერნების შემოწმება (რამდენად გამართულია, ხომ არ ჟონავს ნივთიერება და სხვა) და იმ სახიფათო ტვირთებით შევსება, რომელიც დაშვებულია კონკრეტული ცისტერნით გადასაზიდად;

კონტეინერი-ცისტერნის ან გადასატანი ცისტერნის ოპერატორი - ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომლის სახელითაც ხორციელდება კონტეინერი-ცისტერნის ან გადასატანი ცისტერნის ფუნქციონირება.

მისი **ძირითადი ვალდებულებაა** უზრუნველყოს ცისტერნის წარმოების, მისი აღჭურვილობის და მარკირების RID-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ვაგონი-ცისტერნის ოპერატორი - ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომლის სახელზეც რეგისტრირებულია ვაგონი-ცისტერნა ან დამტკიცებულია გადაზიდვისთვის.

მისი **ძირითადი ვალდებულებაა უზრუნველყოს** ვაგონი-ცისტერნის წარმოების, მისი აღჭურვილობის და მარკირების RID-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ინფორმაციის მიწოდება ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირისთვის, რომელიც უკავშირდება ვაგონი-ცისტერნის აღჭურვილობას.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ზოგადი ინფორმაცია

სახიფათო ტვირთის გადაზიდვას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

- **სატრანსპორტო დოკუმენტები** - რომელიც შეიცავს სახიფათო ტვირთის გაეროს ნომერს, შეფუთვის ჯგუფს (არსებობის შემთხვევაში), ტვირთგამგზავნის და ტვირთმიმღების დასახელებას და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას);
- **კონტეინერის/სატრანსპორტო საშუალების შეფუთვის სერტიფიკატი** - როდესაც ცნობილია, რომ რკინიგზით გადაზიდვის შემდეგ, სახიფათო ტვირთი უნდა გადაიზიდოს საზღვაო სატრანსპორტო საშუალებით, აუცილებელია შეფუთვის სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ შეფუთვა აკმაყოფილებს როგორც RID-ის ასევე, IMO-ს (საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის) მოთხოვნებს;
- **წერილობითი ინსტრუქციები** - რომლებიც გადამზიდველმა უნდა მიაწოდოს მემანქანეს და უნდა ინახებოს მის კაბინაში. აღნიშნული ინსტრუქციები განკუთვნილია სარკინიგზო შემთხვევის ან ინციდენტის დროს, მემანქანის მხრიდან შესაბამისი რეაგირების განსახორციელებლად).

საავარიო ბარათები

RID-ით განსაზღვრული წერილობითი ინსტრუქციების ნაცვლად, ნებადართულია საავარიო ბარათების გამოყენება, რომელიც განსაზღვრულია SMGS-ის მე-2 დანართის შესაბამისად და შეიცავს საჭირო ინფორმაციას, სახიფათო ტვირთის თვისებების, პირადი დამცავი აღჭურვილობის გამოყენებისა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედებების ინსტრუქციების შესახებ.

რადიოაქტიური მასალის რკინიგზით გადაზიდვა

რადიოაქტიური მასალის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს RID-ის, „ტექნიკური რეგლამენტის - ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 თებერვლის №72 დადგენილებითა და რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

რადიოაქტიური მასალის ტრანსპორტირებაში ჩართული პირებს (პერსონალი) გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სწავლება ზემოაღნიშნულ სფეროში მოქმედი ძირითადი მოთხოვნების შესახებ (მაგ: უნდა ფლობდნენ ინფორმაციას, შეფუთვის, მარკირების, საშიშროების ნიშნების განთავსების და ტვირთების სეგრეგაციის მოთხოვნების შესახებ).

სააგენტოსთვის ანგარიშის (შეტყობინების) წარდგენის ვალდებულება, სახიფათო ტვირთთან დაკავშირებულ შემთხვევებზე

სარკინიგზო შემთხვევის, სერიოზული სარკინიგზო შემთხვევის ან ინციდენტის დროს, რომელიც უკავშირდება სახიფათო ტვირთის გადაზიდვას ან მასთან დაკავშირებულ საქმიანობას, გადაზიდვის **მონაწილეები** (მტვირთავი, შემვსები, გადამზიდველი, გადმომტვირთავი, ტვირთმიმღები ან ინფრასტრუქტურის მენეჯერი) **ვალდებულები არიან სააგენტოს** მიაწოდონ (შეატყობინონ) ინფორმაცია, **შემთხვევის დადგომიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.**

სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არსებობს მაშინ თუ სახეზეა ქვემოთ ჩამოთვლითაგან ერთ-ერთი:

- სახიფათო ტვირთის დანაკარგი (რომელიც გულისხმობს ტვირთის გამოთავისუფლებას, მაგ: გაჟონვა, დაფანტვა, დაყრა და სხვა) განსაზღვრულ რაოდენობებში;
- სახიფათო ტვირთის (პროდუქტის) გარდაუვალი დაკარგვის რისკი;
- სახიფათო ტვირთის გამოთავისუფლებული (მაგ: გაჟონილი, გაფანტული და სხვა) რაოდენობის მიუხედავად, მატერიალური ან გარემოსადმი მიყენებული ზიანი;
- ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაცვალება;
- უწყებების ჩართულობა (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სხვა უწყებები).

ინფორმაცია უნდა შეივსოს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ანგარიშის ფორმით, რომელშიც აღინიშნება სხვადასხვა მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ (მაგალითად: შემთხვევის დრო, ადგილი, აღწერილობა, შემთხვევის გამომწვევი მიზეზი, შემთხვევის შედეგები და სხვა).

ზედამხედველობის განხორციელება

სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესის შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტო. რკინიგზით რადიოაქტიური მასალის ტრანსპორტირებისას, ზედამხედველობას ახორციელებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო.

ზედამხედველობის განხორციელებისას, სააგენტოს აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის მონაწილეების საქმიანობა და მათგან გამოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება სახიფათო ტვირთის გადაზიდვას.

BRUNSWICK RAIL
58199100
76618610
PHCU/RZD
55083216
НОВОТ

ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების
სამინისტრო

სსიპ სარკინიგზო
ტრანსპორტის სააგენტო